დადგენილება N 009604

გაფრთხილების სახით ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ

5 მაისი 2026 წ. ქ. ფოთი

1. უფლებამოსილი პირი:

შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ სამეგრელო-გურიის რეგიონალური ოფისის იურისტი გულინა კუნჭულია

2. ცნობები პირის შესახებ, რომლის მიმართაც განიხილება საქმე:

ფიზიკური პირი თამარ ხუბულია; **პ/ნ** 42001014307; **ფოთი,** მიშა მაკალათიას 14; აბონენტის ნომერი 1114288134

3. საქმის განხილვისას დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები

თამარ ხუბულიამ მოახდინა ბუნებრივი აირის თვითნებური ჩართვა, შესაბამისად ადგილი ჰქონდა ბუნებრივი აირის უკანონო მოხმარებას.

4. ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ვიხელმძღვანელე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96[1] მუხლის პირველი ნაწილით, 200, 228[2], 236-237, 266-268 მუხლებით, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2009 წლის 9 ივლისის #12 და 2010 წლის 12 აგვისტოს #14 დადგენილებებით და

ვ ა დ გ ე ნ:

5. თამარ ხუბულიას **პ/ნ** 42001014307 დაედოს ადმინისტრაციული სახდელი -**გაფრთხილება.**

6. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით გამოიწვევს ფიზიკური პირის (გარდა დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული ინდივიდუალური მეწარმისა) დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით, იურიდიული პირისა და დაწესებულების (რომლებიც დღგ-ის გადამხდელებად რეგისტრირებული არ არიან) დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით, ხოლო ინდივიდუალური მეწარმის, იურიდიული პირისა და დაწესებულების (რომლებიც დღგ-ის გადამხდელებად არიან რეგისტრირებული) დაჯარიმებას – 15 000 ლარის ოდენობით.

7. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მხარისათვის მისი ჩაბარებიდან/საჯარო გამოცხადების გზით ჩაბარებულად ჩათვლიდან 10 დღის ვადაში საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში (მის.: ქ. თბილისი, 0194, მიცკევიჩის ქ. №19).

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა: